სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 **მაისი, 2024 წელი**

ბრძანება № 01-08/405

„2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში სტუდენტთა გადმოყვანის (გარე მობილობის) წესით ჩარიცხვის შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 26 თებერვლის №01-08/53 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 და 66-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის, „უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 18 ოქტომბრის №90/ნ ბრძანების, „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილების, ,,ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე“ **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს N01-02/143 ბრძანების**, „2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ” ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №06-01/02 დადგენილების, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის 2024 წლის 15 მაისის MES 6 24 0000524969 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში სტუდენტთა გადმოყვანის (გარე მობილობის) წესით ჩარიცხვის შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 26 თებერვლის №01-08/53 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები,** კერძოდ:

ა) ტექნოლოგიური ფაკულტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ მიხეილ მახარაძესთან მიმართებაში (სტუდენტთა სიის მე-2 გრაფა) მიმართებაში შეიცვალოს სემესტრი და <u>ნაცვლად მე-4 სემესტრისა, მიეთითოს მე-6 სემესტრი</u>;

ბ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „თურქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ მარიამ ქართველიშვილთან (სტუდენტთა სიის 33-ე გრაფა) მიმართებაში შეიცვალოს სემესტრი და <u>ნაცვლად მე-4 სემესტრისა, მიეთითოს მე-6 სემესტრი</u>;

2. ბრძანება აისახოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
3. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებსა (შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს) და სტუდენტებს, ასევე განთავსდეს მათ პირად საქმეებში.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**